რობერტ ნოზიკი – მინიმალისტური სახელმწიფოს კონცეფცია

თამთა ზაქარაშვილი

ამერიკისმცოდნეობის დოქტორანტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი –
პროფესორი **ანასტასია ზაქარიაძე**

2018 წელს საქართველოს მთავრობამ დააანონსა სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალ, **„მინიმალისტური სახელმწიფოს“** მოდელზე გადასვლის ინიციატივა. ჩემი კვლევა მიზნად ისახავს შემოთავაზებული მოდელისა და თანამედროვე ამერიკელი მკვლევრის რობერტ ნოზიკის (Robert Nozick, 1938-2002) კონცეფციის შეპირისპირებით ანალიზს.

პოლიტიკურ და სოციალურ ფილოსოფიაში არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური კითხვა: რას წარმოადგენს და როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო? „ძალადობს“, თუ არა სახელმწიფო ადამიანის უფლებებზე? ა, საერთოდ, უნდა არსებობდეს თუ არა სახელმწიფო? ხომ არ ჯობს ანარქიული პოლიტიკური სისტემა სახელმწიფოს? ამ კითხვებს მრავალი საუკუნის განმავლობაში უტრიალებს მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური აზრი. ამ კვლევაში შევჩერდები ნოზიკის ნააზრევის ანალიზზე. ამ მიმართულებით მისი იდეები განსაკუთრებული სიღრმითა და ორიგინალობით გამოირჩევა. იმანუელ კანტის, ჯონ ლოკისა და ფრიდრიხ ჰაიეკის პოლიტიკური ფილოსოფიის ზეგავლენით, მისი პოზიციის ამოსავალია საკუთრების ფლობის უფლებისა და სახელმწიფოს მიერ ამ უფლების დაცვის აუცილებლობის იდეა.

1974 წელს გამოცემული წიგნი „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ (Anarchy, State and Utopia) მალევე ექცევა როგორც სპეციალისტთა, ასევე ინტელექტუალთა ფართო წრის ყურადღების ცენტრში.

კვლევას ნოზიკი იწყებს უმთავრესი კითხვით – სახელმწიფო რომ არ არსებობდეს, ხომ არ გახდებოდა საჭირო მისი? – “If the state did not exist would it be necessary to invent it? Would one be needed, and would it have to be invented?” (Nozick, 2013: 4) ნოზიკს პასუხის მონახვისთვის სჭირდება ისტორიული ექსკურსის ჩატარება. იგი იწყებს ბუნებითი მდგომარეობის თეორიით (State-of-Nature Theory), ამ თეორიის ამოსავალია ადამიანის ბუნებითი უფლებების აღიარება. საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძალადობენ სხვა ინდივიდებზე და ხელყოფენ მათ უფლებებს. ადამიანებს კი თანდაყოლილად აქვთ ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორებიცაა: სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და საკუთრების უფლება, რომელთა შეზღუდვას მივყავართ სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობისკენ.

ნოზიკი, როგორც ჭეშმარიტი ამერიკელი პრაგმატისტი, ცდილობს საკითხი გადაწყვიტოს სარგებლიანობის პრიზმაში. კერძოდ, მისთვის მთავარია დაამტკიცოს, რომ ლოკისეული ბუნებითი მდგომარეობა ყველაზე სასარგებლოა, რადგანაც იგი ნათლად ასაბუთებს სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას (Nozick, 2013: 4). ნოზიკს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დავრწმუნდებით, რომ ანარქიული საზოგადოება უარესია, ვიდრე საზოგადოების ისეთი ტიპი, რომელიც სახელმწიფოს ქვეშაა მოქცეული, მაშინ უნდა ავირჩიოთ მეორე, როგორც ნაკლებად ცუდი ალტერნატივა (Nozick, 2013: 5).

რობერტ ნოზიკი ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს ლოკს. მის მსგავსად, მიაჩნია, რომ ბუნებით მდგომარეობაში არსებობს ინდივიდთა ფუნდამენტური უფლებები, რომელთა ხელყოფის შემთხვევაში, ყოველ ინდივიდს აქვს უფლება, რომ მოითხოვოს კომპენსაცია (Nozick, 2013: 10). ნოზიკისეულ ბუნებით მდგომარეობაში დაშვებულია ინდივიდის უფლებათა შემლახავის დასჯა, თუმცა ლოკისეული თეორიისგან განსხვავებით, ნოზიკს მიაჩნია, რომ ინდივიდის დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუკი დანაშაული განმეორდება და ვერ მოხდება ამ შემთხვევაშიც მისთვის ხელის შეშლა.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით მდგომარეობაში დამნაშავის დასჯა დაშვებულია, ნოზიკი ასაბუთებს, რომ დამსჯელი ღონისძიებები ძალადობრივი ქმედებების არათუ პრევენციას, არამედ გაზრდას იწვევს. სწორედ ამ ძალადობის აღმოსაფხვრელად, ლოკს მართებულად მიაჩნდა საერთო დაცვის ასოციაციების შექმნა, რასაც ნოზიკი ლოკიანური ბუნებითი მდგომარეობის რაციონალურ „პრობლემას“ უწოდებს (Nozick, 2013: 12). ამგვარი მიდგომა გარკვეული სიძნელის მატარებელია. კერძოდ, ასოციაციის ყველა წევრის უფლებამოსილებამ, ნებისმიერ დროს მოითხოვოს რომელიმე ინდივიდის დასჯა, ასოციაციის წინაშე აყენებსა რამდენიმე უმთავრეს პრობლემას:

1. ასოციაციის წევრები ნებისმიერ დროს შეიძლება იქნენ გაწვეულნი იმ წევრების მიერ, რომლებსაც შესაძლოა, უბრალო ეჭვი ჰქონდეთ სხვა წევრების მიმართ და მხოლოდ ვარაუდებით ხელმძღვანელობდნენ;
2. ასოციაციის წევრებს შორისაა დავის შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ჩაურევლობის პოლიტიკა, ინდივიდთა უმრავლესობა ამჯობინებს ისეთი ტიპის ასოციაციის წევრობას, რომელიც განავითარებს სისტემას, სადაც გადაწყდება, მართებულია თუ არა ინდივიდის პოზიცია (Nozick, 2013: 13).

ინდივიდთა ყველა არსებული პრობლემის განხილვისას შეიქმნება პრეცედენტები, როდესაც ადამიანთა ნაწილი, ფაქტობრივად, გაყიდის საკუთარ „პროტექციონისტულ მომსახურებას“ (“Protective service”). ეს ფაქტი, თავის მხრივ, ზეგავლენას იქონიებს, რათა შეიქმნას ერთი, გამორჩეულად ძლიერი

ასოციაცია, რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი შეუერთდება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც, თუკი ორი ან რამდენიმე თანასწორი ძალის მქონე ასოციაცია შეიქმნება, პიროვნებები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ამა თუ იმ დავაში, თავიდან აიცილებენ მესამე მხარისთვის გასაწევ ხარჯებს. ცხადია, მესამე მხარე საზოგადოების სწორედ ის ნაწილია, რომელმაც დავის პროცესში მოსამართლის და მთლიანად სასამართლოს როლი უნდა იკისროს (Nozick, 2013: 16).

მაგრამ პოზიციების თანხვედრის მიუხედავად, ნოზიკი აკრიტიკებს ჯონ ლოკს, საზოგადოებრივი კონტრაქტის, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და ფულის შექმნის აუცილებელ წინა პირობად მიჩნევის გამო. ბარტერული გაცვლის პირობებში, რთულია იპოვო ადამიანი, რომელსაც უნდოდეს სხვისთვის საჭირო პროდუქტის შეთავაზება ისე, რომ თავადაც სურდეს მის მიერ შეთავაზებული პროდუქტი. საზოგადოება, და რომ საზოგადოება თავისთავად მივიდა ფულის შექმნის აუცილებლობასთან.

ნოზიკს მიიჩნევს, რომ სიძნელის მოხსნა შესაძლებელია ე.წ. „უხილავი ხელის“ ფენომენით. მისი არსებობა არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ ინდივიდებს შორის არსებული მოხალისეობრივი შეთანხმებები გაცილებით უფრო მყარ კავშირებს ქმნის, ვიდრე საერთო დაცვის ასოციაციები. მიუხედავად იმისა, რომ „უხილავი ხელი“ მიმართულია დომინანტი ასოციაციისკენ, ნოზიკი მიიჩნევს, რომ, ამ პირობებშიც, ინდივიდებს რჩებათ სამართლებრივი ბერკეტები საკუთარი უფლებების დასაცავად. თუმცა, აღნიშნული პროტექციონისტული ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სახელმწიფოს (Nozick, 2013: 19).

მავდროულად, არც პროტექციონისტული ასოციაცია და არც მხოლოდ უხილავი ხელის არსებობა წარმოადგენს სახელმწიფოებრივ ფორმას. მინიმალისტური და ულტრამინიმალური სახელმწიფოს თეორიების კომპარატივისტული ანალიზი ნოზიკს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ კლასიკური ლიბერალიზმის მიერ შემოთავაზებული „გუშაგი“ სახელმწიფოს როლი შემოიფარგლება მოქალაქეების დამცველობითი ფუნქციებით ძალადობის, ქურდობის და თაღლითობის წინააღმდეგ. „გუშაგი“ სახელმწიფოს მოვალეობაა, ასევე დაიცვას საზოგადოებაში არსებული სოციალური კონტრაქტები. აღნიშნული ტიპის სახელმწიფოს, ანუ „გუშაგ“ სახელმწიფოს, ნოზიკი უწოდებს მინიმალისტურ სახელმწიფოს (Nozick, 2013: 26).

პროტექციონისტული ასოციაცია მინიმალისტური სახელმწიფოსგან ორი ფაქტორით განსხვავდება:

1. პროტექციონისტული ასოციაცია საშუალებას აძლევს ზოგიერთ ინდივიდს, რომ თავადვე დაიცვას საკუთარი უფლებები;

2. პროტექციონისტული ასოციაციები არ იცავენ საზოგადოების ყველა წევრის უფლებებს და მათ არ გააჩნიათ მონოპოლია ძალაუფლებაზე.

ამ ფაქტორებით რობერტ ნოზიკმა ხაზი გაუსვა სახელმწიფოს ორ ძირითად თვისებას:

- სახელმწიფო ახდენს ძალის მონოპოლიზაციას;
- სახელმწიფოს ახასიათებს საყოველთაო პროტექციონიზმი (Nozick, 2013: 113).

ნოზიკი მართებულად მიიჩნევს პროტექციონისტული ასოციაციების ჩამოყალიბებას ბუნებითი მდგომარეობის პირობებში. პროტექციონისტულ ასოციაციას აქვს ვალდებულება, რომ დაიცვას ყველა ის ინდივიდი, რომელიც ასოციაციის წევრია, იხდის გადასახადებს და საფრთხე ემუქრება საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან. ნოზიკი მიიჩნევს, რომ მსგავსი ტიპის ასოციაციები წარმოადგენენ ულტრამინიმალურ სახელმწიფოს (Nozick, 2013: 27).

თუ უშუალოდ ნოზიკისეულ ულტრამინიმალურ სახელმწიფოს თეორიას დავაკვირდებით, მას აქვს ერთი უდიდესი პრობლემა – სახელმწიფო, როგორც მთავარი დამცველობითი ორგანო, არათანაბრად იცავს ინდივიდთა უფლებებს. ვგულისხმობ იმას, რომ ასოციაცია არ წამოადგენს საზოგადოების ყველა წევრის შეთანხმების შედეგად წარმოქმნილ კავშირს და, შესაბამისად, მისი დამცველობითი უფლებები ვრცელდება მხოლოდ გადასახადების გადამხდელ პიროვნებებზე. იმ შემთხვევაში, თუკი თანხვედრაში განვიხილავთ ორ, სამ, ან ოთხ დომინანტ ასოციაციას, რას მივიღებთ შედეგად? შედეგად მივიღებთ ჯონ ლოკისეულ ბუნებით მდგომარეობას ასოციაციებს შორის.

თუ მივიღებთ მინიმალისტური სახელმწიფოს ნოზიკისეულ განმარტებას ,რომ იგი ლიბერალური სახელმწიფოს „ღამის დარაჯია“, შეგვიძლია განვსაზღვროთ სახელმწიფოს მთავარი ფუნქციები, კერძოდ:

- სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეებს სამხედრო, საპოლიციო და სასამართლო სისტემებით;
- სახელმწიფო იცავს მოქალაქეებს აგრესიისგან, ქურდობისგან, თაღლითობისგან, ხელშეკრულებების დარღვევისა და კერძო საკუთრების ხელყოფისგან (Townshend: 200. 14-15).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რობერტ ნოზიკის მიერ გაანალიზებული დისტრიბუციული სამართლიანობის 16 პრინციპი. მისი სამიზნე ჯონ როულზის პოპულარული სამართლიანობის თეორიაა. კერძოდ, მისთვის მიუღებელია როულზის საზოგადოების თვითკმარ ასოციაციად წარმოდგენის თვალსაზრისი და მისი გაიგივება საერთო კეთილდღეობის მწარმოებელ კოოპერატივთან. საზოგადოების მსგავსი თანამშრომლობა ყველა ინდივიდ-

ისთვის უზრუნველყოფს ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას და უკეთესი სარგებლის მიღებას.

ნოზიკი თვლის, რომ თეორიები საკუთრების ფლობის შესახებ, უნდა შეიცავდეს 3 ძირითად პრინციპს: 1. სამართლიანობის პრინციპს, რომელიც გულისხმობს, რომ თეორიამ უნდა ახსნას, თუ როგორ შეუძლია ინდივიდს ბუნების რესურსების გამოყენება; 2. სამართლიანი განაწილების პრინციპი; 3. სამართლიანი ანგარიშსწორების პრინციპი, რომელიც გულისხმობს დაზარალებულისთვის კომპენსაციის და ა. შ .გადახდას (Nozick, 2013: 151).

ნოზიკისათვის საკუთრებასთან დაკავშირებით ჯონ ლოკის თეორია უფრო მეტადაა მისაღები. ლოკის მსგავსად ის თვლის, რომ საკუთრება და საკვები, რომელსაც შეიძენს ადამიანი, არ შეიძლება სხვების მიერ იქნეს მითვისებული ნოზიკი ამას ხატოვნად ადარებს უდაბნოში ერთადერთი ჩანჩქერის მონოპოლიზაციას და ამას მიიჩნევს დაუშვებელად (Nozick, 2013: 183). ჯონ ლოკის თეორიის მსგავსად, რობერტ ნოზიკიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს შექმნის უმთავრესი მიზეზი და მიზანი ინდივიდის საკუთრების უფლების დაცვაა. ცხადია, რობერტ ნოზიკი სახელმწიფოში გულისხმობს მინიმალური უფლებების მქონე პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელსაც საზოგადოების დაცვა აკისრია. ნოზიკმა კლასიკური ლიბერალური თეორიები განავითარა, რომელიც შემდგომში ნეოლიბერალების მიერ იქნა გამოყენებული.

აღინიშნავია, რომ რობერტ ნოზიკის თეორიას, აღიარებასთან ერთად, კრიტიკაც არ დაჰკლებია. ოპონენტთა მთავარი საყვედური ნოზიკის მიმართ ეხება ანარქიული საზოგადოების პრიორიტეტულად დასახვის გაზვიადებულ და ნაკლებად არგუმენტირებულ პოზიციას. ჯონათან ვულფი ნოზიკის კონცეფციის ანალიზს უძღვნის წიგნს „რობერტ ნოზიკი: საკუთრება, სამართლიანობა და მინიმალისტური სახელმწიფო“, სადაც ცდილობს, თანამიმდევრულად გააკრიტიკოს ნოზიკისეული მინიმალისტური სახელმწიფოს თეორიის ნაკლოვანებები. ნოზიკს ედავებიან ჯონ ლოკის თეორიიის განსაკუთრებული მიკერძოების გამო. ენდრიუ ჰეივუდი წიგნში, „პოლიტიკა“, რობერტ ნოზიკს ბრალად სდებს ლოკისეული ლიბერალიზმის გადამღერებას (ჰეივუდი: 2007. 141).

ვფიქრობ, რობერტ ნოზიკის მიერ შემოთავაზებული მინიმალისტური სახელმწიფოს კონცეფცია საკმაოდ რადიკალური ფორმით გამოხატავს სახელმწიფოს არარსებობის აუცილებლობას. მას ყურადღების მიღმა რჩება ის გამოცდილება, რომელიც საუკუნეების მანძილზე სახელმწიფოს არსებობამ მოუტანა კაცობრიობას, თუმცა მიმაჩნია, რომ ნოზიკის თეორია გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჯონ ლოკის „გადამღერება“. რობერტ ნოზიკის შეხედულებებმა, გარდა ანარქისტების მხარდაჭერისა, საფუძველი დაუდო მცირე მთავრობის მომხრეების რაოდენობის ზრდას. მცირე მთავრობა, რო-

მელიც სახელმწიფოსთვის შეზღუდული ძალაუფლების მინიჭებას გულისხმობს, ვფიქრობ, რომ მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფორმაა. მიუხედავად ამისა, მცირე მთავრობა და ნოზიკისეული მინიმალისტური სახელმწიფო არაა იდენტური და მისი პრაქტიკაში განხორციელება უდიდეს სირთულეებს აწყდება.

მაგალითისთვის, თანამედროვე სამყაროში რამდენიმე ქვეყანა გვხვდება, რომელთაც შედარებით მინიმალისტური მმართველობის ფორმა აქვთ. კერძოდ, ეს ქვეყნებია: დანია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. შტატებში პრეზიდენტი რონალდ რეიგანი შეეცადა მინიმალისტური მთავრობის ჩამოყალიბებას, თუმცა წარმატების მიღწევა ვერ შეძლო. ვფიქრობ, რობერტ ნოზიკის მიერ შემოთავაზებული მინიმალისტური სახელმწიფოს წმინდა სახით გადმოტანა უტოპიურია, რადგან ძნელია ისეთი საზოგადოების პოვნა, რომელიც მორალურად მზად იქნება მსგავსი ტიპის მმართველობის ჩამოსაყალიბებლად. ხოლო რაც შეეხება საქართველოს მთავრობის მცდელობას, შექმნას „მცირე მთავრობის“ მოდელი, ვფიქრობ, დასაწყისშივე უამრავი ხარვეზი ჰქონდა, რადგან რეალურად მცირე მთავრობა და საქართველოს ეროვნული გეგმა, იდეური თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულია. გარდა ამისა, მცირე მთავრობის მოდელს ესაჭიროება განვითარებული ქვეყანა, მაღალი ხარისხის სამოქალაქო საზოგადოებით და კიდევ უფრო ძლიერი ინდივიდებით, რომლის უზრუნველყოფა, სამწუხაროდ, საქართველოს არ ხელეწიფება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზაქარიაძე, ანასტასია. *ამერიკული ფილოსოფია.* თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2018.
2. კაჭარავა, ვასილ. *დემოკრატიის გაკვეთილები, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია, 1877-2008 წლები.* უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.
3. მენქიუ, გრეგორი. *ეკონომიკის პრინციპები.* დიოგენე, მეორე ქართული გამოცემა, 2008.
4. *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში.* I წიგნი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2017.
5. ჰეივუდი, ენდრიუ. *პოლიტიკა.* საქართველოს მაცნე, მესამე გამოცემა, 2007.
6. Lock, John. *Two Treatises of Government in the Former, The False Principles, and Foundation of Sir Robert Filmer, and His Followers, Are Detected and Overthrown. The Latter Is an Essay Concerning The True Original, Extent, and End of Civil* Government. London, 1689.

7. Mill, Stuart. *On Liberty*, 1972.
8. Nozick, Robert. *Anarchy, State and* Utopia. New York, 2013.
9. Rand, Ayn. *Capitalism: The Unknown Ideal*. New American Library, 1966.
10. Smith, Adams. *An Inquiry into The Nature and Caufes of the Wealth of* Nations. London, 1776.
11. Stockman, David. *The Triumph of Politics, How the Reagan Revolution Failed.* New York: Harper & Row, Publishers, 1986.
12. Townshend Charles. *The Oxford History of Modern* War. Oxford University Press, 2000.
13. Wolff, Jonathan. *Robert Nozick: Property, Justice and the Minimal* State. Oxford: Polity in association with Basil Blackwell, 1991.

Robert Nozick – The Conception of Minimal State

Tamta Zaqarashvili

PhD student in American Studies

Anastasia Zakariadze
Professor, Scientific Supervisor

Abstract

The purpose of the article is to research the conception of the minimalist state, proposed by Robert Nozick and to analyze what is the minimalist government and if it is possible to realize in the United States of America and Georgia.

The consideration of the minimalist state conseption is very importan for Georgia, because after 2018, the Government of Georgia framed the conception on "Small Government". The purpose of this research is to determine whether works this plan in practice and what results should society expect. In order to research this topic, firts of all I discussed the book of Robert Nozick – "Anarchy, State and Utopia". The theisis contains the analyze of phylosophy, politics, economics and history, which is processed and presented in the article.

In his book, *Anarchy, State and Utopia,* Robert Nozick is answering main question – "If the state did not exist would it be necessary to invent it? Would one be needed, and would it have to be invented". In the article there is discussed main ideas of Robert Nozick and critics on his work.